1072/4-1/21 2 11022021

1072/4-1/21
11-02-2021

სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს უფროსს ლერი ბარნაბიშვილს

ბატონო ლერი,

მოგეხსენებათ რომ ვარ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, საქართველოს პარლამენტში არსებული მუდმივმოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭოში აქტიურად ვმუშაობთ სექსუალური ძალადობის საკითხებზე, ამასთან არაერთი ინიციატივის თუ რეკომენდაციის გაცემა მოხდა მოცემულ საკითხზე ჩვენი მხრიდან.
საქართველოს რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია: სექსუალური ძალადობის შემთხვევებში თქვენი ბიუროს მიერ საექსპერტო გამოკვლევის ჩატარების შემთხვევაში უზრუნველყოფთ თუ არა იმავე სქესის წარმომადგენლი ექსპერტის მიერ საექსპერტო კვლევის განხორციელებას, გაქვთ თუ არა ამ საკითხზე დამტკიცებული შიდა ინსტრუქცია ან წესი, ასევე გთხოვთ გაგვიზიაროთ ინფორმაცია კონკრეტული საექსპერტო გამოკვლევის ჩატარებიდან თუ რა ვადაში ხდება საექსპერტო დასკვნის გაცემა, დასკვნის მომზადების ვადებთან დაკავშირებით გაქვთ თუ არა შემუშავებული კონკრეტული რეგლამენტი ან წესი.
ამასთან რომ მომაწოდოთ ინფორმაცია რეგიონების მიხედვით რამდენი სამედიცინო ექსპერტი გყავთ დასაქმებული, აქედან რეგიონალური განაწილების გათვალისწინებით რამდენია ქალი და რამდენი კაცი.

პატივისცემით,

საბჭოს წევრი
ნინო წილოსანი

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5000871521

16/02/2021 წ.

5000871521

საქართველოს პარლამენტის წევრს,

საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრს

ქალბატონ ნინო წილოსანს

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საგმისნარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-1909/21
"19" 02 2021 წ. ფურც. 3

ქალბატონო ნინო,

თქვენი, ა.წ. 11 თებერვლის N1072/4-1/21 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ამჟამად სსიპ- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტში, იმ ექსპერტთაგან, რომლებიც ატარებენ სქესობრივ სფეროში ჩადენილი ქმედების ექსპერტიზას, დასაქმებულია 6 ქალი ექსპერტი - სპეციალობით „სასამართლო მედიცინა". რეგიონებში ამ მიმართულებით დასაქმებულია 17 ექსპერტი, ყველა მამაკაცია. ბიურო თავის საქმიანობას ახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმად, „თუ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება განსაკუთრებულ პროფესიულ ცოდნას მოითხოვს, მხარე მას ატარებს ექსპერტის მონაწილეობით. თუ საგამოძიებო მონაწილეობა ითვალისწინებს გაშიშვლებას, შესამოწმებელი პირის მოთხოვნის შემთხვევაში ექსპერტი და მხარე უნდა იყვნენ იმავე სქესის, რომელი სქესისაც არის შესამოწმებელი პირი". აღნიშნულის ფარგლებში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის გამოკვლევის პროცესში (რაც დაკავშირებული იქნება გამოსაკვლევი პირის გაშიშვლებასთან) გამოსაკვლევი პირი წინასწარ, წერილობითი ადასტურებს თანხმობას, რომ გამოკვლევას ჩაატარებს საპირისპირო სქესის სასამართლო სამედიცინო ექსპერტი. თუმცა, აუცილებლობის შემთხვევაში, თუკი რეგიონში გამოსაკვლევი პირი ითხოვს იგივე სქესის (ქალის) ექსპერტის მხრიდან გამოკვლევას, ბიურო აძლევს შესაძლებლობას დაინტერესებულ მხარეს, აღნიშნული ექსპერტიზა ჩატარდეს თბილისში, სადაც შიდა რესურსების გადანაწილების ხარჯზე ვახერხებთ აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

„სასამართლო მედიცინის" სპეციალისტების ნაკლებობა ზოგადად მედიცინის საერთო პრობლემაა და არ წარმოადგენს მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის დამახასიათებელ რაიმე გამონაკლისს. აღნიშნული პრობლემა (ქალი ექსპერტების ნაკლებობა „სასამართლო მედიცინის" სპეციალობით) დიდი ხანია დგას. ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სამედიცინო ექსპერტიზაში დასაქმებულია 11 ექიმი სპეციალისტი ქალი და მათგან ექსპერტის პოზიციაზე 6 ქალი, სპეციალობით „სასამართლო მედიცინა".

ექსპერტობის კანდიდატს უნდა გააჩნდეს უმაღლესი სამედიცინო განათლება, დამთავრებული რეზიდენტურის სრული კურსი (ან ალტერნატიული) სპეციალობით ,,სასამართლო მედიცინა" და საქართველოს

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

5000871521

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული სახელმწიფო სერტიფიკატი ნებადართული სპეციალობით: ,,სასამართლო მედიცინა''. ამასთანავე, უნდა ავლენდეს საკმარის კომპეტენციას, რომ შესაძლებელი იყოს მის მიერ დამოუკიდებლად აღნიშნული საქმიანობის განხორციელება. ზემოაღნიშნული კურსის გავლის გარეშე და შესაბამისი სერტიფიკატის არ არსებობის შემთხვევაში, ბიუროს კანონმდებლობით არ აქვს უფლება დაასაქმოს ამ სფეროში კადრი.

ბიუროს კარგად ესმის აღნიშნული პრობლემატიკა და აქტიურად მიმდინარეობს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ქალი სასამართლო სამედიცინო ექსპერტის სტატუსით სპეციალისტების მოძიება, (აღნიშნულ საკითხებში დახმარება ეთხოვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსაც) რომლებიც უახლოეს მომავალში დასაქმდებიან რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტებში ხელშეკრულების საფუძველზე.

თქვენს მიერ დასახელებული ექსპერტიზის შესრულების ვადა დამტკიცებულია სსიპ- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის 2017 წლის 10 მაისის N86§3 და 2019 წლის 17 ივნისის N112§16 (სსიპ- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო მომსახურეობის სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ) ბრძანებებით და შეადგენს ჩვეულებრივი (არადაჩქარებული) წესით 30 სამუშაო დღეს, ხოლო დაჩქარებული წესით დანიშვნის შემთხვევაში 5 სამუშაო დღეს.

პატივისცემით,

ლერი ბარნაბიშვილი
ბიუროს უფროსი

5000871521

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 17.02.22 (ხელმოწერა) ბ.ა.

STATISTICS BUREAU